განმარტებითი ბარათი

„დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტზე

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობი რეგულაციების დადგენა და შესაბამისი ადგილების გამოყოფა, რაც ხელს შეუწყობს როგორც დაბის იერსახის მოწესრიგებას ასევე მოსახლეობის ინტერესების დაცვას.

პროექტის მიზანია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება, კონკრეტულად გარე ვაჭრობის, გამოფენების და ბაზრობების რეგულირება.

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კონკრეტულად დაბის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულაციების განსაზღვრა.

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტში.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[I] მუხლის თანახმად

საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: მარინე ბერაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №--------

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ან შენობა-ნაგებობაში გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრის, გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საქონლის განთავსების, გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის წესებს.

2. გარე ვაჭრობად ითვლება:

ა) საქონლის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებული ისეთი ობიექტებიდან, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის შესაბამისად მიწასთან მყარად არ არის დაკავშირებული და ამავე კოდექსის 150-ე მუხლის შესაბამისად არ ქმნის მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს (ჯიხური, მაცივარი, სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, საქონლის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა);

ბ) საქონლის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ან მასზე განთავსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობიდან, თუ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ან შენობა- ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ხდება საქონლის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის (ჯიხური, მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, საქონლის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა) მთლიანად ან ნაწილობრივ საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსება;

გ) რესტორნის, კაფე-ბარის და სხვა ობიექტის მიმდებარე საზოგადოებრივ სივრცეში მაგიდის და სხვა ნივთის განლაგება, რომელზეც მომსახურების გაწევა ხდება არსებული რესტორნიდან, კაფე-ბარიდან და სხვა ობიექტიდან;

დ) საქონლის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა საზოგადოებრივი ტრასპორტის გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილიდან ან/და მასზე განთავსებული ნაგებობიდან;

ე) აზარტული და მომგებიანი თამაშობებისთვის განკუთვნილი სათამაშო ინვენტარის, ასევე სხვა სათამაშო და გასართობი აპარატის ან ნივთის საზოგადოებრივ სივრცეში განთავსება.

3. თუ საქონლის რეალიზაცია ხდება შენობაში განთავსებულ ობიექტში, მათ შორის საწარმოო ობიექტში ან სასაწყობო ნაგებობაში და საქონლის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს, ნივთის რეალიზაცია ითვლება გარე ვაჭრობად.

მუხლი 2. გარე ვაჭრობის რეგულირების მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია:

ა) დაბის იერსახის დაცვა;

ბ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) მოსახლეობის ინტერესების დაცვა;

მუხლი 3. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა

1. დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა დასაშვებია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მხოლოდ საამისოდ განსაზღვრულ ადგილებზე.

2. გარე ვაჭრობის ადგილებისა და ვაჭრობის ადგილების გეგმის განსაზღვრას საკუთარი ინიციატივით ან/და დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, რომელიც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

3. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრასთან ერთად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია, გარე ვაჭრობის თითოეული ან რამდენიმე ან/და ყველა ადგილისათვის დაადგინოს:

ა) იმ საქონლის სახეობა ან/და ზუსტი ჩამონათვალი, რომელთა რეალიზაციაც დასაშვებია ან/და აკრძალულია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

ბ) იმ კონსტრუქციების სახეობები ან/და მათი არქიტექტურული იერსახე, რომელთა განთავსებაც დასაშვებია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე.

მუხლი 4. გარე ვაჭრობის ორგანიზება

1. გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილები მოეწყოს ისე, რომ აკმაყოფილებდეს დაბის იერსახის მოთხოვნებს და არ უნდა აფერხებდეს ფეხით მოსიარულეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას. გარე ვაჭრობა უნდა განხორციელდეს მოქმედი სანიტარიულ- ჰიგიენური მოთხოვნებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.
2. საზოგადოებრივ ადგილებსა და კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში განსათავსებელი მცირე არქიტექტურული ფორმების მოწყობა დაიშვება მხოლოდ არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებას საჭიროებს ასევე საზოგადოებრივ ადგილებში სადღესასწაულო და ბაზრობა-გამოფენებისათვის საჭირო დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.
4. დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე აიკრძალოს მალფუჭებადი საკვები პროდუქტებით (ხორცი, ხორცის პროდუქტები, რძე, რძის პროდუქტები, თევზი, შეუფუთავი საკონდიტრო ნაწარმი და პური) გარე ვაჭრობა.
5. გარე ვაჭრობა ნებადართულია შემდეგი საქონლით:

ა) ჟურნალ-გაზეთები, წიგნები;

ბ) ნახატები, სუვენირები და სხვა ხელნაკეთი ნივთები;

გ) ყვავილები;

დ) ხილ-ბოსტნეული მაღაზიის წინ, ვერტიკალურ სტელაჟზე (თუ ხილ-ბოსტნეული არის მაღაზიის საკუთარი პროდუქცია და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა აკმაყოფილებს სანიტარიულ ნორმებს და უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებას მიღების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესში);
ე) სპეცდანიშნულების საფირმო მანქანებიდან კვების პროდუქტები (სანიტარიული პირობებით და სასაქონლო-ესთეტიკური იერსახით დაცული).

6. სეზონური გარე ვაჭრობა ნებადართულია შემდეგი საქონლით:
ა) გაზიანი გამაგრილებელი სასმელები და წყლები (მათ შორის, ბურახი);
ბ) ნაყინი (სპეციალური მაცივრის მეშვეობით);

გ) შეშა (სპეციალურად მოწყობილ ადგილებში);

დ) ყველა სახეობის ხილი და ბოსტნეული.

7. გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე დადგენილებით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მუხლი 5. გარე ვაჭრობის კონტროლი

1. დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებს მათი კომპეტენციის ფარგლებში.

2. წინამდებარე წესის ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც წესის შესაბამისად ითვლება გარე ვაჭრობად, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს წესის მოთხოვნებს, ითვლება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^3 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად.

3. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას:

ა) კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში გაატაროს ღონისძიებები იმ გარე მოვაჭრეების მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ წინამდებარე წესის მოთხოვნებს;

ბ) განახორციელოს წინამდებარე წესის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

მუხლი 7

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე

დასკვნა

„დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.